



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1294

ქ. დუშეთი

25 ნოემბერი 2015 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 24 ნოემბრის N1292 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი ნაწილის და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

- შეტანილ იქნეს ცვლილება “დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ” დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 24 ნოემბრის N1292 ბრძანებაში. კერძოდ:
 - ბრძანების დანართში მითითებული ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალის მე-9 სტრიქონი („თანამდებობის დასახელება: გამგებლის წარმომადგენელი ლაფანანთკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვაკანტური თანამდებობის რაოდენობა: 1“) ამოღებულ იქნეს;
 - ბრძანების დანართში მითითებული ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალის 35-ე სტრიქონის „თანამდებობის დასახელების“ გრაფაში არსებული ჩანაწერი შეიცვალოს (შესწორდეს) და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ქონების მართვის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის სამეურნეო ტექნიკური განყოფილების წამყვანი სპეციალისტი - ტექნიკური ადმინისტრატორი“;
- ბრძანება გამოქვეყნდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი:



/ვ. ჩოხელი/

